

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სპეციალობა: მედიცინა

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 360 კრედიტი

სწავლის ხანგრძლივობა : 6 წელი (12 სემესტრი)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში მედიცინის სპეციალობაზე. ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირების, უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა, შესაბამის უცხო ენაში ტესტირების გავლა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზანია, აღზარდოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე, დიპლომირებული მედიკოსის კომპეტენციის შესაბამის პოზიციებზე დასაქმებას, შემდგომ პროფესიულ განვითარებას, რეზიდენტურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) კურსის გავლას, კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მედიცინის თეორიულ დარგებსა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროებში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91 –100ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სემესტრულ შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამი და შეადგენს 100 ქულას.

შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს ორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ და დასკვნითი შეფასებებს. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტიურობა სემინარზე/პრაქტიკულზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანები, ესსე, და ა.შ) ამ კომპონენტების შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს საგნის პედაგოგი საზღვრავს თავად გარდა შუალედური გამოცდისა, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასების აუცილებელ კომპონენტს (გამონაკლის წარმოადგენს კლინიკური უნარებისა და კლინიკაში პრაქტიკის შეფასება).

დასკვნითი გამოცდა, დასკვნითი შეფასების აუცილებელი პირობაა. დასკვნითი გამოცდის გადალახვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%+1-ია, ნაკლების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შეფასება ნულდება და თუ სტუდენტის ქულა 41-50 ქულამდე მერყეოს, მას ეძლევა დასკვნითი გამოცდის გადაბარების უფლება, ხოლო თუ სტუდენტის ქულა ნაკლებია 41-ზე, ის ვალდებულია საგანი ხელმეორედ გაიაროს. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის შუალედური შეფასება ტოლია ან მეტია 51 ქულის, სტუდენტი ვალდებულია დასკვნითი გამოცდაზე გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საგანი ჩაბარებულად არ ჩაითვლება.

სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.